




ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 198 (3175)

11 ოქტომბერი, სამშაბათი, 1966 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ალმა-ათასა და ნოვოსიბირსკში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ზ. შეყრილაძემ (საქართველო), ა. ალიევმა, ზ. აბდულბეკოვმა (ორივენი — მახაჩყალა), ზ. ბერიაშვილმა, გ. სალარაძემ (ორივენი — საქართველო), ბ. გურევიჩმა (უკრაინა), შ. ლომიძემ (საქართველო), ა. მედვედმა (ბელორუსია).

● **ზ. შეყრილაძემ** სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო ტიტული წელს პირველად დაიმსახურა. ადრე ნიჭიერი ათლეტი არაერთხელ ყოფილა საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორი. იგი სსრ კავშირის ნაკრებშიც გამოდიოდა. ზ. შეყრილაძეს მრავალ საერთაშორისო შეხვედრაში უსახელებია თავი.

● **ზ. ბერიაშვილმა** ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა პირველად 1962 წელს მოიპოვა. მას შემდეგ იგი სათავეში უდგას სსრ კავშირის წამყვან მოჭიდავეთა სიას მსუბუქ წონაში. წელს ზ. ბერიაშვილმა მე-5 ოქროს მედალი მიიღო.

● **გ. სალარაძე** მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია ქვესაშუალო წონაში. ჩემპიონის ტიტული პირველად მან 1964 წელს მოიპოვა. გურამ სალარაძე წლების მანძილზე სსრ კავშირის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

● **შ. ლომიძე** სსრ კავშირის ჩემპიონი 1964 წელს გახდა. მაშინ იგი საშუალო წონაში გამოდიოდა. 1965 წელს შ. ლომიძემ ქვემძიმე წონაში გადაინაცვლა და აქაც წარმატებას მიაღწია.

**სურათებზე** (მარცხნიდან): — ზ. შეყრილაძე, ზ. ბერიაშვილი, გ. სალარაძე და შ. ლომიძე.

# ჩვენი მოჭიდავეებისა და ჩოგბურთელების დიდი გამარჯვება



საქართველოს ჩოგბურთელები ალმა-ათაში გამართულ სსრ კავშირის ჩემპიონატში სასახელო მაჩვენებლებით გამოვიდნენ. ჩვენი ხუთი სპორტსმენი ალმა-ათიდან თბილისს მედლებით მკერდდამშვენებული ბრუნდება. ზემოთა **სურათზე** თქვენ ხედავთ სპორტის დამსახურებულ ოსტატს ა. მეტრეველს, რომელმაც ვაჟთა ერთეულებში I ადგილი დაისაკუთრა, შერეულ წყვილებში ა. დმიტრიევასთან ერთად ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა, ხოლო ვაჟთა წყვილებში თ. კაკულიასთან ერთად ბრინჯაოს მედალი იგდო ხელთ. ერთი სიტყვით, მეტრეველი სამივე ლითონის მედალთა კავალერი გახლავთ. ქვემო **სურათზე** (მარცხნიდან მარჯვნივ) აღბეჭდილი არიან რ. აბუანდაძე (ქალთა ერთეულებში ვერცხლის მედლის მფლობელი), ა. ივანოვა (ქალთა წყვილებში ვერცხლის მედალი მოიხვეჭა, ხოლო ერთეულებში — ბრინჯაოსი), ი. ერმოლოვა (ქალთა წყვილებში მიიღო ვერცხლის მედალი) და თ. კაკულია (ვაჟთა წყვილებში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა).

ფოტო ი. იუნაევისა.

• • •

საქართველოს ჩოგბურთელების ალმა-ათაში წარმატებით გამოსვლაზე მოგვითხრობს ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მე-3 გვერდზე მოთავსებული მასალა.

# სსრ კავშირის ნაკრები — ევროპის ჩემპიონი

**კლუჟი.** აქ დამთავრდა ევროპის პირველობა კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის. სსრ კავშირის ნაკრები ნახევარფინალში გდრ-ის გუნდს შეხვდა. თამაშის I ნახევარი უაღრესად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. გერმანელი კალათბურთელები მოქმედებდნენ აზარტულად და თავგანწირულად. მიუხედავად იმისა, რომ ტაიმი ჩვენმა გუნდმა მოიგო (47:40), ძნელი სათქმელი იყო თუ ვის დარჩებოდა გამარჯვება.

მაგრამ შეხვედრის II ნახევარში სურათი მკვეთრად შეიცვალა: საბჭოთა სპორტსმენებმა ინიციატივა მტკიცედ იგდეს ხელთ. გერმანელებს დაღლილობა დაეტყოთ და ნელ-ნელა დათმეს პოზიციები. საბოლოო ჯამში სსრ კავშირის გუნდმა მოიპოვა გამარჯვება — 93:69.

ფინალში ჩვენი გუნდის მეტოქე იყო ჩეხოსლოვაკიის ნაკრები. პირველი ნახევრის შემდეგ სსრ კავშირის კალათბურთელები წინ იყვნენ 5 ქულით (44:39). უპირატესობა მათ შესვენების შემდეგაც შეინარჩუნეს და გაიმარჯვეს — 77:66. სსრ კავშირის ნაკრების წევრებს გადაეცათ ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები.

მესამე ადგილზე პრეტენზიას აცხადებდნენ ნახევარფინალებში დამარცხებული გუნდები — გდრ და რუმინეთი. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კალათბურთელებმა, რომლებმაც გადამწყვეტი მატჩი მოიგეს ანგარიშით — 65:60.






ეროვნული ბიბლიოთეკა







# ზეიმი თბილისის იპოდრომზე

კვირას, ჩვენს ქვეყანაში ზეიმით აღნიშნეს სოფლის მეურნეობის მუშაკის პირველი საკავშირო დღესასწაული. იგი იზეიმეს ჩვენს რესპუბლიკაშიც, რომელმაც განსაკუთრებულ წარმატებებს უკანასკნელ წლებში სწორედ სახალხო მეურნეობის ამ დარგში მიაღწია. წინდღით თბილისს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა საქართველოს დედაქალაქის საზოგადოების წარმომადგენელთა, რესპუბლიკის მოწინავე წარმოების მუშაკთა, პლანტაციების, ფერმების მშრომელთა საზეიმო კრება, რომელიც სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღეს მიეძღვნა.

გუშინწინ კი თბილისის იპოდრომზე გაგრძელდა ზეიმი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის თეატრების, კინოსა და ცირკის მსახიობები, ჩოხატაურის, ცხაკაიას, სიღნაღის, თბილისისა და სხვათა საუკეთესო ცხენოსნები.

ათეულ ათასობით მაყურებელმა ბევრი საინტერესო რამ ნახა იპოდრომზე. ზეიმი დაიწყო თამარ მეფის ეპოქის ინსცენირებით. ტრიბუნის წინ ცხენებით მოვიდნენ „თამარ მეფე" და ძველებურ საომარ ტანსაცმელსა და იარაღში გამოწყობილი, მაშინდელი საბრძოლო დროშებით დამშვენებული მისი ამალა. „დედოფალმა" ბურთი მაერში ააგდო, რითაც დასტური მისცა დაეწყოთ სპორტული აპპარეზობანი.

ცხენბურთელები ცირკის აკრობატებმა და ცხენის გაწვრთნილობის ოსტატებმა შეცვალეს, ისინი — ცხაკაიისა და ჩოხატაურის მხედრებმა, რომლებმაც ისინდი წარმოადგინეს. გაიმართა აგრეთვე დოღი, ყაბახი, ჩეხვა, ჯირითი და სხვა. ზეიმი იპოდრომზე დიდხანს გაგრძელდა.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე (მარცხნიდან მარჯვნივ): — მოდის „თამარის" ლაშქარი; ცხენბურთელთა თამაშის მომენტი; ჯირითი.

საიუბილეო სპარტაკიადებს — ღირსეული შეხვედრა

# ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს

ვ. ალავერდოვის ნიჭსა და უნარში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ რესპუბლიკის პირად-გუნდური ჩემპიონატისთვის თბილისის გუნდების დაკომპლექტებისას ხელმძღვანელებმა თავი დაიზღვიეს და პირველთანრიგოსანი ჭაბუკი თბილისის II კოლექტივში ჩარიცხეს. ცხადია, ეს ჩრდილს ოდნავადაც არ აყენებდა სპორტსმენის ღირსებას და მანაც გაბედულად, აუღელვებლად დაიწყო სროლა.

თბილისში, „მონკავშირის" ატენდზე გამართულ ჩემპიონატის პირველივე სერიაში ლოკომოტიველმა ალავერდოვმა ადგილიდან 21 სამიზნე დაამსხვრია. მაგრამ II და III სერიებში უშეცდომოდ ისროლა და ლიდერებში გადაინაცვლა. იმ დღის ბოლო სერიაში მას მხოლოდ 1 აცილების უფლება ჰქონდა. თუ ჭაბუკი ამოცანას წარმატებით გადაჭრიდა, ოსტატობას მოიპოვებდა და შეიძლება ფინალშიც ყველაზე კარგი შედეგით გადასულიყო.

მართლაც, ალავერდოვი ჰფრინავ სამიზნეებს დიდხანს შეუცდომლად ამსხვრევდა, მაგრამ როგორც ჩანს, საფინიშო გასროლებში ნერვებმა უღალატეს, 2 სამიზნე დააცილა და 100-დან 94 ქულა მოაგროვა. ასეთივე შედეგი ჰქონდა აფხაზეთის გუნდის წევრს, საერთაშორისო სპორტის ოსტატს კ. დარასელიას და ერთით ნაკლები — თბილისის პირველგუნდელს, სპორტის ოსტატ ი. საგანელიძეს. ამ დღეს ყველას ისევ ვეტერანმა ოსტატმა შ. ჩასნაშვილმა აჯობა. იგი ერთადერთი იყო, ვინც სპორტის ოსტატის ნორმა (95 ქულა) აჩვენა.

მესტენდურეთა ამ დღის შედარებით დაბალი მაჩვენებლები იმითაა გამოწვეული, რომ სპორტსმენები რეგულარულად ვერ ვარჯიშობენ და შეჯიბრებებშიც იშვიათად გამოდიან, რის გამო ქვეითდება მსროლელთა მომზადების, საშეჯიბრებო წრთობის დონე. ეს ნათლად დაადასტურა ამ ასპარეზობის მეორე დღემ, რომლის ფავორიტი პირველი გასროლისთანავე ისევ ალავერდოვი გახდა. მართალია, კარგად ისროლეს ზ. მაჩხანელმა (თბილისი I) — 95 ქულა, კ. დარასელიამ — 95, ი. საგანელიძემ — 96, მაგრამ ალავერდოვმა ყველას გადააჭარბა, 98 ქულა მოაგროვა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა, ხოლო, როცა 2 დღის შედეგები შეჯამდა, ალავერდოვს (მწვრთნელი მ. კუროჩკინი) ყველაზე უკეთესი შედეგი — 192 ქულა აღმოაჩნდა (ესეც ოსტატის ნორმაზე უკეთესი მაჩვენებელია). რესპუბლიკის ჩემპიონობა მას მიეკუთვნა.

II-III ადგილის ბედი გაურკვეველი დარჩა, ვინაიდან კ. დარასელიამ და ი. საგანელიძემ ასპარეზობა ერთნაირი მაჩვენებლებით (189 ქ.) დაამთავრეს. მათ შორის უძლიერესის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი სერია — 25 გასროლა, მაგრამ საქმეს ნათელი ვერც ამან მოფინა. ვერც მეორე დამატებითმა სერიამ თქვა გადამწყვეტი სიტყვა. მაშინ სპორტსმენთა მოთხოვნით მსაჯებმა ორივეს II-III ადგილები მიაკუთვნა.

II და III საპრიზო ადგილების განაწილებაში მრგვალ სტენდზე სროლაშიც ანალოგიური სურათი განმეორდა. ამჯერად, ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ე. ძიძიგური (თბილისი I) და ახალგაზრდა ნ. გოცირიძე (თბილისი II) — 200-დან 183 ქულა თვითეულს. ადგილიდან მსროლელთაგან განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ აქ პირველსავე დამატებით სერიაში იმარჯვა ძიძიგურმა და II ადგილიც დაისაკუთრა. რაც შეეხება ჩემპიონობას, იგი ტ. ჟღენტმა (თბილისი I) მოიპოვა და ღირსეულადაც. ჟღენტი ერთადერთი ათლეტი იყო, ვინც ოსტატის შედეგი აჩვენა და ისიც სამჯერ. პირველ დღეს 95 ქულა მოაგროვა, მეორე დღეს — 97 და 200 შესაძლებლიდან — 192 ქულა. მრგვალ სტენდზე მსროლელთა შორის მხოლოდ ჟღენტია ახლა საქართველოში ისეთი სპორტსმენი, ვინც მაღალ შედეგებს სტაბილურად აჩვენებს. ეს სასიხარულოა, მაგრამ გულდასაწყვეტიცაა, ვინაიდან სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მრგვალ სტენდზე სროლაში მარტო ტ. ჟღენტის მონდომებით ფონს ვერ გავალთ. და თუ იქ თავის შერცხვენა არ გვინდა, რეგულარულ წვრთნას უნდა დავუბრუნოთ სსრ კავშირის ნაკრების წევრი ბ. ანტონოვი, უფრო ინტენსიურად უნდა ივარჯიშონ ძიძიგურმა, კლდიაშვილმა, გოცირიძემ, აჯობამ, უფრო ფართო გზა მივცეთ ახალგაზრდობას.

მოასპარეზეთა პირად ჩათვლაში ერთი ქალი, სპორტის ოსტატი ე. მელიქიშვილი მონაწილეობდა და დამაკმაყოფილებელი შედეგებიც მოიპოვა — ორივე დღეს აჩვენა I თანრიგის შედეგები (88 და 85 ქულა).

გუნდურ ჩათვლაში თბილისის I კოლექტივმა მოიგო ადგილიდან (458 ქულა), მრგვალ სტენდზე (451) და კომპლექსში სროლა — 909 ქულა. II იყო აფხაზეთის გუნდი — 429+326=755, III — აჭარა — 336+294=630 ქულა. სამწუხაროდ, ტურნირზე გუნდები არ გამოგზავნეს მახარაძისა და წალენჯიხის რაიონებმა, ქუთაისი კი მხოლოდ 1 ათლეტის წარმოდგენით დაკმაყოფილდა. სადავოა, მაგრამ ფაქტია, რომ რესპუბლიკურ სპარტაკიადამდე დარჩენილი მცირე დროის მიუხედავად, ბევრგან ამ სახეობის განვითარებას სათანადო ყურადღება არ ექცევა.

თ. ბელაშვილი.

ს ს რ კავშირის მძლეოსნებმა ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში ისეთი მარცხი განიცადეს, როგორსაც არავინ ელოდა. და მსგავსი რომ მეხიკოში არ განმეორდეს, მძლეოსნობის საკავშირო ფედერაციამ სათანადო ღონისძიება დასახა — შემოიღო სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა ოლიმპიური ნაკრები გუნდების ტურნირები. წლეულს ორი ამგვარი ასპარეზობა უკვე გაიმართა, მაისში — ლესელიძეში, ხოლო ამას წინათ — ლენინაკანში. თუ ამ შეჯიბრებათა ტექნიკურ შედეგებს ერთმანეთს შევადარებთ, ისინი აშკარად უკანასკნელის სასარგებლოდ ლაპარაკობენ. უფრო მეტიც, ლენინაკანში სპორტსმენებმა უმეტეს სახეობაში უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს, ვიდრე დნეპროპეტროვსკის საკავშირო ჩემპიონატზე. რაც იმას ადასტურებს, რომ ჩვენი ოლიმპიური იმედი თანდათან იძენს საბრძოლო გამოცდილებას, შედეგებს ზრდის და ზოგჯერ საერთაშორისო კლასის მაჩვენებლებსაც აღწევს.

ქების ღირსია 20 წლის ტალინელი კ. ლეპიკი, სიგრძეზე ხტომაში მან 803 სანტიმეტრი აჩვენა და საერთაშორისო კლასის ოსტატის ნორმა შეასრულა. ანგარსკელმა ნ. ჩალოვამ სპორტის ოსტატობა ხუთჭიდში ერთი თვის უკან მოიპოვა, ლენინაკანში კი ჩემპიონის ოქროს მედალიც დაისაკუთრა. იგი ი. პრესის ღირსეული მემკვიდრეა. უდავოდ ნიჭიერია შუბის მტყორცნელი, 21 წლის მოსკოველი ვ. პოპოვა. აქ მან 57,32 მეტრი აჩვენა, რაც საერთაშორისო კლასის ოსტატის ნორმაზე უკეთესია. მოლოდინს გადააჭარბეს 19-20 წლის ათლეტებმა კიეველმა ლ. შაპოვალოვამ (200 მეტრზე რბენაში), ბრესტელმა პ. რუბაშევსკაიამ (400 მეტრზე რბენაში), ლენინგრადელებმა თ. კაპიშევამ (სიგრძეზე ხტომაში) და ნ. ჩიჟოვამ (ბირთვის კვრაში), ბაქოელმა ვ. კასატკინმა (100 მეტრზე რბენაში) და სხვ.

მაგრამ განსაკუთრებით გამოსაყოფია კიშინიოველი ვეტერანი ვ. მასლოვსკაია-ბოლშოვა და თბილისელი ი. დიაჩკოვი, ბოლშოვა პირველი სპორტსმენია, რომელმაც 100 მეტრზე თარჯრბენში სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. მან მეტად მაღალი შედეგი (13,0) აჩვენა, რაც ჩვენი ქვეყნის რეკორდი და მსოფლიო მიღწევაა.

ათჭიდში კინაღამ დაემხო ი. კუტენკოს ევროპის რეკორდი — 7968 ქულა. მას უტევდნენ კიეველი მ. სტოროჟენკო, რომელსაც წლეულს უკვე ჰქონდა 7578 ქულა, ტალინელი ი. ოტსმა — 7600, ტარტუელი რ. აუნი — 7682 და სსრ კავშირის ჩემპიონი, თბილისელი ი. დიაჩკოვი — 7520. ამ კვარტეტს მოულოდნელად კრასნოდარელი ვ. მიხალჩენკოც შეემატა. სტარტზე მან ათჭიდელთათვის შესანიშნავი შედეგები აჩვენა (100 მეტრზე — 10,9 და სიგრძეზე ხტომაში — 773 სმ) და ორი სახეობის შემდეგ 94 ქულით ასწრებდა კუტენკოს იმ გრაფიკს, როცა მან ევროპის რეკორდი დაამყარა. მაგრამ კრასნოდარელმა ლიდერობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა. დღის ბოლოს მას დაეწია ი. დიაჩკოვი. ხოლო, როცა თბილისელმა 190 სმ სიმაღლე გადალახა, მისმა აქციებმა კიდევ უფრო აიწია. სსრ კავშირის ჩემპიონმა 5 სახეობის ჯამში 4080 ქულა მოაგროვა, რაც კუტენკოს სარეკორდო გრაფიკს 115 ქულით ასწრებდა, მაგრამ მეორე დღეს დიაჩკოვმა ბადროსა და შუბის ტყორცნაში მოსალოდნელზე დაბალი შედეგები აჩვენა, რამაც ევროპის რეკორდი დამხობას გადაარჩინა. სამაგიეროდ, თბილისელმა ოსტატმა ამ სეზონში სსრ კავშირში საუკეთესო შედეგი (7838 ქულა) აჩვენა, ჩემპიონობა შეინარჩუნა და საერთაშორისო კლასის ოსტატობა მოიპოვა.

# ფიქრები მატჩის შემდეგ

როგორც აღვნიშნეთ, შედეგები საერთოდ, კარგი იყო. ამას გულუხვმა მასპინძლობამაც შეუწყო ხელი. ლენინაკანელებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ეს ღონისძიება მაღალ დონეზე ჩატარებულიყო. როგორც ცნობილია, ლენინაკანის საასპარეზოდ არჩევა მეხიკოს ოლიმპიადისთვის სამზადისით (ბუნებრივი პირობებით ისინი ახლოა ერთმანეთთან) იყო ნაკარნახევი. მასპინძლებმა მოკლე დროში დაამთავრეს სტადიონის რეკონსტრუქცია და სპორტსმენებს დაუთმეს ჩვენს ქვეყანაში რიგით მესამე (ალმა-ათისა და დნეპროპეტროვსკის შემდეგ) ბიტუმის სარბენი ბილიკები.

აკლიმატიზაციის მერე, ათლეტებმა მაღალ შედეგებს მიაღწიეს. ეს განსაკუთრებით საბჭოთა არმიის სპორტსმენებზე ითქმის. თბილისში პირველობის ჩატარების შემდეგ, მათ ლენინაკანს მიაშურეს, 20 დღის განმავლობაში ნაყოფიერად ივარჯიშეს და გუნდური პირველობაც დიდი უპირატესობით მოიგეს.

მაღალმთიანეთის გაიშვიათებული ჰაერის გამო მხოლოდ მრავალჭიდელებს, სტაიერებსა და მარათონელებს გაუჭირდათ. მაგალითად, ათჭიდელები მეორე დღეს ისე მოდუნდნენ, რომ ზოგჯერ ხელოვნურ სუნთქვასა და ჟანგბადის ბალონსაც იყენებდნენ.

წერილის ძირითად მიზნად მივგაჩნია ტურნირში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობაზე, მათ მაჩვენებლებსა და იმაზე ვისაუბროთ, რის გაკეთებაც სასურველი იყო ჩვენი ათლეტების ტექნიკური დონის შემდგომი ზრდისა და გამოცდილების მიღებისთვის. შეჯიბრებაში საქართველოდან მხოლოდ 2 ქალი და 8 ვაჟი მონაწილეობდა. მათგან კონკურსგარეშე გამოდიოდა ერთი, დინამოელი ა. ანტონოვი, რომელმაც 100 მეტრზე რბენაში 10,7 წამი აჩვენა. საერთოდ, ჩვენი ათლეტების მონაპოვრები დამაკმაყოფილებელია. დიაჩკოვის გარდა, გვასახელა ი. დელა-როსამაც, რომელმაც მოიგო 50 კმ სპორტული სიარული. ტ. ბახტაძემ ჯერ 400 მეტრზე რბენაში დაამყარა საქართველოს რეკორდი — 47,8, მერე კი ესტაფეტაში 4×400 მეტრზე ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. თ. მდივანმა და რ. ამბარიანმა სიმაღლეზე ხტომაში ტურნირის IV და VI შედეგები (206 და 203 სმ) აჩვენეს. ორჯერ მეხუთე იყო გ. კონონენკო — 100 მეტრზე რბენაში — 12,2 და სიგრძეზე ხტომაში — 578 სმ, თ. როჟმანოვამ V ადგილი დაიკავა 80 მ თარჯრბენში — 11,2, ხოლო სიგრძეზე ხტომაში (572 სმ) — VIII. შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდა გ. გუდაშვილი. ბადროს ტყორცნაში მან მხოლოდ 53,53 მეტრი აჩვენა და სსრ კავშირის პირველობის III პრიზიორი, ახლა V ადგილით დაკმაყოფილდა. ათჭიდში ლ. ჯუგეშაშვილმა 6395 ქულა მოაგროვა, რაც 5 ქულით ჩამორჩება ოსტატობის კანდიდატის ნორმას.

სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების წევრთა უმეტესობამ ძალთა გამოცდის ეს საუკეთესო საშუალება ვერ გამოიყენა. განსაკუთრებით დასანანია, რომ სსრ კავშირის უძლიერესებს არ შეეჯიბრნენ ჯ. ქუთათელაძე, მ. ოყროშიძე, ქ. გორძემაშვილი, ი. კოზელსკი, თ. კლდიაშვილი და სხვები. ისინი აქ მხოლოდ კარგ გაკვეთილს მიიღებდნენ. საქართველოს სპორტკავშირი მძლეოსნებს ნაყოფიერი ვარჯიშების გამართვისა და მაღალი შედეგების ჩვენების ყველა პირობას უქმნის და არ გვეგონა, თუ ათლეტები მხარდაჭერას უფრო რაციონალურად არ გამოიყენებდნენ. ამ ტურნირში ძირითადად ხომ ისეთი სპორტსმენები მონაწილეობდნენ, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადაშიც იბრძოლებენ და მაშასადამე, ურიგო არ იქნებოდა ჩვენი ათლეტები სპარტაკიადაში მოსალოდნელ მეტოქეთა ტექნიკას, ბრძოლის წარმოების ტაქტიკას გაცნობოდნენ.

ლენინაკანის სტადიონის ახალი სექტორების გაცნობამ ერთი რამ გვიკარნახა: ურიგო არ იქნება, თუ საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია იზრუნებდა მატჩის იქ გამართვისთვის, ვინაიდან მაღალმთიან სტადიონზე ასპარეზობა არც საქართველოს მძლეოსნებს აწყენდა, ამასთან სპორტსმენები უფრო ახლოს და მასობრივად გაეცნობიან ბიტუმის ბილიკებს. ერთი სიტყვით, ჩვენი ნაკრების ხალხთა სპარტაკიადისთვის უკეთ მომზადებისთვის ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ.

თ. მაჩაბელი,
ა. სტეპანოვი.
საკავშირო კატეგორიის მსაჯები.

ლენინაკანი — თბილისი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. მასლოვსკაია-ბოლშოვა ფინიშთან.



# სპორტსკოლა სოფელში

ახლახან წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის საშუალო სკოლასთან შეიქმნა მავშვთა სპორტული სკოლა. აქ ჯერჯერობით მუშაობს ფეხბურთის, თავისუფალი ჭიდაობისა და ველოსპორტის სექციები, რომელთაც გამოცდილი სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. ველოსპორტის მოყვარულებს, თვით სკოლის დირექტორი, წარსულში რაიონის ცნობილი ველოსიპედისტი ა. ვაშაკიძე ამეცადინებს. სკოლა შეფობას უწევს დაბა ჯვარის, სოფლების ფახულანისა და ჭალის სკოლების მოსწავლე სპორტსმენებს.

ახლო ხანში სოფელ ლიაში ნორჩ სპორტსმენთათვის დაიწყება სტადიონის მშენებლობა, რომლისთვისაც სახსრებს ადგილობრივი კოლმეურნეობა გაიღებს. ჟ. მიქაია.

# ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო...

ალმა-ათაში ჩოგბურთელთა საკავშირო პირად პირველობაზე უკვე გათამაშდა 24-ვე მედალი და მათგან ზუსტად ერთი მესამედი თბილისელმა სპორტსმენებმა იგდეს ხელთ. მივყვეთ რიგით.

ვაჟთა ერთეულებში ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ალექსანდრე მეტრეველმა, რომელმაც მეტად დაძაბულ ბრძოლაში მოუგო ფინალური შეხვედრა მოსკოველ ვიაჩესლავ ეგოროვს (7:9, 12:10, 6:4, 6:0) და პირველად მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა. წლევანდელ სეზონში სსრ კავშირისა თუ უცხოეთის კორტებზე, მეტრეველის რამდენიმე წარმატება კიდევ უფრო ალვივებდა იმედის ნაპერწკალს, რომ იგი საბოლოოდ სსრ კავშირის ჩემპიონიც გახდებოდა. და აი, გულშემატკივართა ოცნება ასრულდა: იგი უძლიერესია საუკეთესოთა შორის. ჩოგბურთელთა ასპარეზობის დაწყების წინ გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" კორესპონდენტებმა ვ. ვასილევმა და ა. პატრიკეევმა ჩვენი ქვეყნის 6 წამყვან მწვრთნელს მისცეს შეკითხვა იმის შესახებ, თუ მათი აზრით ვინ მოიხვეჭდა ვაჟთა და ქალთა ერთეულებში ჩემპიონთა სახელებს. ვაჟებში ნ. ტეპლიაკოვამ დაასახელა: „ან ლეიუსი, ან მეტრეველი", ხოლო III ადგილი მან ვ. ეგოროვს მიაკუთვნა. ე. კრეემაც ასევე უპასუხა კითხვას. ვ. ბალვამ I ადგილი მეტრეველს არგუნა, III — ეგოროვს, II ადგილის მფლობელის ვინაობა კი არ დაუსახელებია. ს. მირზამ I ადგილზე დააყენა ვ. ეგოროვი, ხოლო II-III ადგილები უწინასწარმეტყველა მეტრეველსა და ლეიუსს. ე. კორბუტის აზრით, შეუძლებელია ყოველთვის გამარჯვებულის კვარცხლბეკზე იდგე (იგი მეტრეველს გულისხმობს) და ამიტომ I ადგილზე აყენებს ლეიუსს, ეგოროვს კი მესამეზე. ა. ხანჯალიანმა დიდი მორიდებით, მაგრამ I ადგილზე მაინც თავისი აღზრდილი — მეტრეველი დაასახელა, შემდეგ ლეიუსი. III ადგილის თანაბარი შანსები აქვთო ივანოვს, კოროტკოვს და კაკულიას.

უნდა ითქვას, რომ უმრავლეს მწვრთნელთა პროგნოზი I ადგილის მფლობელის შესახებ გამართლდა. მწვრთნელები შეცდნენ II-III ადგილების განაწილებაში, აქ ყოველივე თავდაყირა დადგა. მოხდა სენსაცია: ლეიუსმა ვერცხლის მედალიც კი ვერ მოიპოვა, ხოლო ეგოროვმა თავის სპორტულ კარიერაში დიდი ნახტომი გააკეთა და II ადგილზე დამკვიდრდა.

ახლა ქალთა ერთეულების შესახებ. გავეცნოთ მწვრთნელთა პროგნოზებს. ნ. ტეპლიაკოვა: დმიტრიევა, ბაკშეევა, ა. ივანოვა; ვ. ბალვა: ბაკშეევა, დმიტრიევა, III ადგილზე ან კული, ანდა ისლანოვა; ე. კრეე: დმიტრიევა, ბაკშეევა, ანდა პირიქით, III ადგილის პრეტენდენტები იქნებიან სიმსონი, კივი, კული, ა. ივანოვა; ს. მირზა: დმიტრიევა, ბაკშეევა, კული (იგივე სახელების თანმიმდევრობა, რომ სხვანაირი ალმოჩნდეს, არც ეს იქნება გასაკვირიო); ე. კორბუტი: დმიტრიევაც, ბაკშეევაც, სიმსონიც და კივიც ცალ-ცალკე მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენენ. ძნელია რაიმე გარკვეულის თქმაო. ახლა გადავხედოთ როგორ გამართლდა მწვრთნელთა პროგნოზები. გამართლდა კი? მწვრთნელთა აზრი თითქმის თანაბრად გაიყო: ერთნი I ადგილს დმიტრიევას უქადოდნენ, მეორენი — ბაკშეევას. სინამდვილეში დმიტრიევამ ფინალამდეც ვერ მიაღწია. იგი ამ სანუკვარ გზას ქართველი ჩოგბურთელის რ. აბუანდაძის ოსტატობამ ჩამოაშორა. სწორედ, პროგნოზებს მიღმა დარჩენილმა აბუანდაძემ „იკისრა" ბაკშეევასთან ფინალური ბრძოლის გაჩაღება. თუმცა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ეს შეხვედრა წააგო — 3:6, 2:6, მაგრამ პირველად თავისი სპორტული კარიერის მანძილზე ვერცხლის მედალს დაეუფლა. მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა პროგნოზი III ადგილის მფლობელის ვინაობის შესახებ. აქ საქართველოს წარმომადგენელმა ა. ივანოვამ იმარჯვა (მას მხოლოდ ორმა მწვრთნელმა უწინასწარმეტყველა III ადგილი) — ეგოროვ... ადგილისთვის ბრძოლაში დაამარცხა მოროზოვა — 6:2, 6:4.

ქალთა წყვილების ფინალში საქართველოს წარმომადგენლები ივანოვა და ერმოლოვა იბრძოდნენ ბაკშეევა — დმიტრიევას დუეტთან. ეს შეხვედრა ჩვენებმა წააგეს — 2:6, 2:6 და საბოლოოდ მათ ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს.

ვაჟთა წყვილების თანრიგში პირველობა მოიხვეჭეს ეგოროვმა და კოროტკოვმა, რომლებმაც დაამარცხეს ლეიუსი და ლიხაჩოვი — 4:6, 10:8, 5:7, 6:4, 7:5. III ადგილი წილად ხვდათ მეტრეველსა და კაკულიას.

შერეულ წყვილთა ფინალში ბაკშეევამ და ლეიუსმა მოუგეს დმიტრიევასა და მეტრეველს — 6:4, 6:3.

მაშ ასე, ჩემპიონატი დამთავრდა, საქართველოს ჩოგბურთელებმა იგი წარმატებით განვლეს.

კვლავაც გამარჯვების გზით გევლოთ, ჩვენო ჩოგბურთელებო!

## ფეხბურთი 1966

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 ოქტომბრისთვის

ძირითადი შემადგენლობანი

კლასი „ა" I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 29 | 19 | 9 | 1 | 57—12 | 47 |
| ცსკა | 27 | 15 | 6 | 6 | 54—35 | 36 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 29 | 14 | 8 | 7 | 46—28 | 36 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 29 | 14 | 7 | 8 | 46—23 | 35 |
| ასკ (როსტოვი) | 29 | 15 | 5 | 9 | 44—40 | 35 |
| „დინამო" (თბილისი) | 29 | 11 | 10 | 8 | 37—26 | 32 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 25 | 11 | 8 | 6 | 35—30 | 30 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 27 | 8 | 14 | 5 | 25—23 | 30 |
| „დინამო" (მინსკი) | 29 | 10 | 10 | 9 | 32—30 | 30 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 28 | 10 | 9 | 9 | 24—27 | 29 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 28 | 9 | 9 | 10 | 35—31 | 27 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 27 | 11 | 5 | 11 | 26—30 | 27 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 31 | 10 | 7 | 14 | 32—46 | 27 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 28 | 7 | 11 | 10 | 24—30 | 25 |
| „არარატი" (ერევანი) | 29 | 7 | 10 | 12 | 20—41 | 24 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 29 | 7 | 6 | 16 | 34—52 | 20 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 29 | 3 | 14 | 12 | 17—36 | 20 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 29 | 7 | 4 | 18 | 24—42 | 18 |
| ასკ (ოდესა) | 29 | 1 | 10 | 18 | 13—43 | 12 |

გუშინ მოსკოვში გაიმართა „ა" კლასის ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის მორიგი კალენდარული შეხვედრა. თამაშობდნენ ადგილობრივი „სპარტაკი" და როსტოვის ასკ. თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2. ბურთები გაიტანეს: როსტოველთაგან მატვეევმა (2), ამბარცუმიანმა და ბოკატოვმა.

### [illegible]

„კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 0:0. ერთგვარი ტერიტორიული უპირატესობა ქუთაისელთა მხარეს იყო. მათ გამარჯვების მეტი სურვილი ჰქონდათ, მაგრამ თავდამსხმელებმა ვერც ერთი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. მასპინძლებას ქართველ შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია.

„არარატი" (ერევანი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 2:0 (1:0). მასპინძლებმა ანგარიში პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გახსნეს. გატანილი გოლის ავტორია კოვალენკო. შესვენების შემდეგ სიომინმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაზარდა.

ასკ (ოდესა) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 0:2 (0:1). აუტსაიდერთა შეხვედრაში პირველი გოლი გატანილ იქნა მე-19 წუთზე (კოროტკოვი). შესვენების შემდეგ კოზლოვმა (48-ე წუთზე) გაზარდა ანგარიში.

„კაირატი" (ალმა-ათა) — „შახტიორი" (დონეცკი) 0:0. ამ შეხვედრაში ყველაზე კარგი შთაბეჭდილება მეკარეებმა დატოვეს. ალმაათელმა კასენკომ და დონეცკელმა კოროტკიხმა რამდენიმეჯერ იხსნეს კარი აშკარა გოლებისგან.

## ცნობილია მეორე ფინალისტიც

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 9 ოქტომბერი.

„დინამო" (კიევი) — „დინამო" (მინსკი) 1:0 (0:0).

„დინამო" (კიევი): რუდაკოვი, შჩეგოლკოვი, სოსნიხინი, ოსტროვსკი, საბო, ტურიანჩიკი, ბიშოვეცი, მუნტიანი (პუზაჩი), მედვიდი, ბიბა, ხმელნიცკი.

„დინამო" (მინსკი): გლუხოტკო, კოლტუნოვი, ზარემბო, რიომინი, სავოსტიკოვი, ტალეიკო, არზამასცევი, ადამოვი, მუსტიგინი (ვასილიევი), მალოფეევი, პოგალნიკოვი.

მსაჯი კ. ყრუაშვილი (თბილისი).

საბჭოთა ფეხბურთის აღიარებულ ლიდერს, კიევის „დინამოს" სსრ კავშირის თასის ფინალში გასვლა 120-წუთიანი ღელვის ფასად დაუჯდა. მართალია, უკრაინელმა ფეხბურთელებმა გაიტანეს ერთადერთი გოლი, რომელმაც მათ გამარჯვება მოუტანა, მაგრამ თავიანთი თამაშით ისინი არ იყვნენ კმაყოფილი. ამის შესახებ მათ პირდაპირ განაცხადეს გასახდელში: „ჩვენ გვინდოდა თბილისელი მაყურებლისთვის გვეჩვენებინა ნამდვილი ტექნიკური ფეხბურთი, გამოგვივიდა კი პირიქით".

რა იყო ამის მიზეზი, ძნელი დასადგენია, მაგრამ უკრაინელი ჟურნალისტები, რომლებიც სპეციალურად ჩამოფრინდნენ თბილისში მატჩის საყურებლად, ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე ამბობდნენ, რომ „ესთეტიკურ ფეხბურთს" თბილისელი მაყურებლები ვერ ნახავენო. მინსკის „დინამო" აგერ უკვე რამდენიმე წელია, რაც უკრაინის საუკეთესო გუნდისთვის ყველაზე ძნელ მეტოქედ იქცა. გამარჯვება და ისიც მინიმალური უპირატესობით, აი, რა იყო უკრაინელთა ზრუნვის მთავარი საგანი და გუშინწინდელ თამაშს თუ ამ კუთხით მივუდგებით, საბჭოთა ფეხბურთის ლიდერმა ამოცანა წარმატებით გადაჭრა.

120 წუთის მანძილზე, „ძვლების გამაყრუებელ ჭახა-ჭუხში" არა მარტო მომავალი ფინალისტის ვინაობა ირკვეოდა. აქ, ამავე დროს წყდებოდა გუნდების ფიზიკური მომზადების საკითხიც: ვინ, რომელი კოლექტივია უფრო უკეთ მზად უძნელესი ძალისმიერი ბრძოლისთვის. ამ მხრივ გამარჯვებული ვერ გამოვლინდა: კიეველი ფეხბურთელები, თავიანთი მინსკელი თანაკლუბელების მსგავსად ბოლომდე მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ. 120-წუთიან „ჯოჯოხეთს" ისინი მზად შეხვდნენ.

მინსკის „დინამოს" გეგმა თავიდანვე ცხადი იყო: მეტოქეებისთვის, რომლებიც ტექნიკურ ბრძოლაში მათ აშკარად დაჩაგრავდნენ, არ უნდა მიეცათ თამაშის საშუალება. ნამდვილმა საკალათბურთო პრესინგმა, რომელსაც ზოგჯერ აშკარა უხეშობა ენაცვლებოდა, ლიდერი წონასწორობიდან გამოიყვანა, და იგი თვითონაც მაჟდურ გზას დაადგა. ფსიქოლოგიურად მინსკის „დინამომ" დასჯაბნა მეტოქე, და მასში „ანტისაფეხბურთო" რეაქციები გამოიწვია. საბედნიეროდ, დაისაჯა მხოლოდ ერთი მოთამაშე — ბიშოვეცი (იგი შეხვედრის არბიტრმა კ. ყრუაშვილმა სავსებით კანონიერად გააძევა), მაგრამ ეს დანაკლისი კიეველებისთვის საგრძნობი იყო, რადგან ბიშოვეცი დღეს გუნდში მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენს.

ერთადერთი გოლი, რომელმაც უკრაინის გუნდს გამარჯვება მოუტანა, გავიდა თამაშის 114-ე წუთზე. რამდენიმე წუთით ადრე კი ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა: უკრაინელთა კაპიტანმა ბიბამ მარცხენა მხრიდან ჯარიმა ჩამოაწოდა. ბურთს მაღალ ნახტომში რამდენიმე კიეველი თავდამსხმელი დახვდა, მაგრამ მათ ყველას გლუხოტკომ დაასწრო და გადაარჩინა კარი.

მცირე ხნის შემდეგ მინსკელი ფეხბურთელები ზუსტად იმავე ადგილას დაჯარიმდნენ. ბურთი ბიბამ კვლავ კარის გასწვრივ დაკიდა, მაგრამ ამჯერად გლუხოტკოს დაასწრო ტურიანჩიკმა და თავით გაიტანა გოლი. ეს იყო მატჩის კულმინაცია, რომელმაც საბოლოოდ გატეხა მინსკელთა საბრძოლო ჟინი. მათ თითქოს შვებით ამოისუნთქეს, რადგან ყველაზე მეტად ამ მომენტის დადგომისა ეშინოდათ. და რადგან მოსახდენი მოხდა, თამაშმა მათთვის ფაქტიურად აზრი დაკარგა.

სწორედ ამის შემდეგ შექმნა კიევის „დინამომ" ანგარიშის გაზრდის რამდენიმე შანსი, რომლებიც შანსადვე დარჩა. მაგრამ გამარჯვებასთან ახლო მყოფ გუნდს ამაზე არც უჯავრია. უკრაინელი ფეხბურთელები გავიდნენ სსრ კავშირის თასის ფინალში, სადაც საპატიო ჯილდოსთვის მათ მოსკოვის ტორპედოელებთან მოუწევთ ბრძოლა.

ნ. ბუბუშვილი.

## [illegible]

● ობერჰაუზენი, 9 ოქტომბერი. მოჭადრაკე ქალთა ოლიმპიადაზე უკვე გაიმართა ექვსი ტური. სსრ კავშირის ნაკრები ჭერჭერობით III ადგილზეა (9,5 ქულა). წინ არიან რუმინეთისა და იუგოსლავიის გუნდები (10-10 ქულა). VI ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის გუნდი — 1,5:0,5. ზატულოვსკაიამ თავისი შეხვედრა მოიგო, ხოლო გაფრინდაშვილი ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონ ერეტოვასთან ყაიმს დასჯერდა.

● კიევი, 9 ოქტომბერი. გრძელდება სსრ კავშირის პირველობა ტყვიის სროლაში. გამოვლინდა კიდევ ორი ჩემპიონი. არმიული შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლაში გაიმარჯვა ე. კნიაზევმა (საბჭოთა არმია) — 549 ქულა. II იყო ი. გერასიმენოკი („დინამო") — 547, III — ვ. გორობეცი (საბჭოთა არმია) — 547. ქალთა შორის სილუეტებზე სწრაფსროლა მოიგო ვ. პოდოპლელოვამ (საბჭოთა არმია) — 549 ქულა. „ვერცხლი" და „ბრინჯაო" წილად ხვდათ დინამოელებს — ლ. ილცევიჩსა — 584 და ვ. სემენენკოს — 583 ქულა.

## მინსკელის მსოფლიო რეკორდი

მინსკში გაიმართა ბელორუსიის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. არმიელმა ბ. ხროლოვიჩმა (მინსკი) 20 კმ სპორტულ სიარულში აჩვენა 1:29.24,6. ეს შედეგი საკმარისი იყო ბუდაპეშტში ევროპის პირველობის მოგებისთვის. წარმატების მიუხედავად, ხროლოვიჩმა გზა განაგრძო, რადგან სურდა გაეუმჯობესებინა მსოფლიო რეკორდი ორსაათიან სიარულში, რომელიც ლენინგრადელ ა. ეგოროვს ეკუთვნოდა. ცდა წარმატებით დამთავრდა. მინსკელმა ათლეტმა 2 საათში 26.657 მეტრი გაიარა, რაც 228 მეტრით სჯობია ეგოროვის ძველ მიღწევას. ამავე ასპარეზობისას ლ. ფილკინმა (მინსკი) მარათონში ბელორუსიის რეკორდი დაამყარა — 2:20.46.





ამ ორ სურათზე ასახულია კიევისა და მინსკის თანაკლუბელთა სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩის პერიპეტიები. მარცხენა სურათი მეტად დაძაბულ მომენტზე მოგვითხრობს: კიეველი ფეხბურთელები მეტოქის კართან კუთხურის ჩამოწოდების მოლოდინში არიან. ამიტომაა, რომ ორივე გუნდის მოთამაშეთა სახეზე უაღრესი დაძაბულობაა აღბეჭდილი. მარჯვენა სურათი კიეველთა მიერ გატანილი ერთადერთი გოლით გამოწვეულ სიხარულს ასახავს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ამერიკა—ევროპა

## პირველი მატჩი მონრეალში გაიმართება

როგორც ბულგარული გაზეთი „ნაროდენ სპორტი" იუწყება, ამერიკის ათლეტიკის მოყვარულთა კავშირის პრეზიდენტმა ო. კასელმა გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ საბოლოოდ გადაწყდა ამერიკისა და ევროპის მძლეოსანთა I მატჩის გამართვა. იგი გაისად, 9-10 აგვისტოს კანადის ქალაქ მონრეალში მოეწყობა. თვითეულ გუნდში 68 ათლეტი იქნება. ვაჟები იასპარეზებენ 20 სახეობაში (პროგრამაში არ იქნება 20 და 50 კმ სპორტული სიარული, მარათონი და ათჭიდი), ქალები — 11 სახეობაში (ხუთჭიდის გარდა). ყოველ სახეობაში მეტოქენი 2-2 სპორტსმენს გამოიყვანენ. დადგინდა საპასუხო [illegible] მატჩის ჩატარების ადგილი. იგი 1969 წელს, მიუნჰენში ჩატარდება. როგორც კასელმა განაცხადა, ამერიკის კონტინენტის ნაკრები შეირჩევა 1967 წლის პანამერიკულ თამაშებზე, რომელიც 23 ივლისს — 6 აგვისტოს მოეწყობა.

# ყოველი მხრიდან

### ვიცე-პრეზიდენტი ჰემფრი და სპორტი

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი და ჯონსონის უახლოესი მრჩეველი ჰუბერტ ჰემფრი არასდროს ყოფილა დაინტერესებული სპორტით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გოლფის სიყვარულს (აიკ ეიზენჰაუერის პრეზიდენტობის დროს, რომელიც გოლფის დიდი მოტრფიალე იყო), რომელიც უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე სპორტულს.

სწორედ ამიტომ, ამერიკელი ტელემაყურებლები გააოცა ვიცე-პრეზიდენტის ამასწინანდელმა გამოსვლამ ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე. ჰუბერტ ჰემფრიმ, რომელიც დიდძალი აქციისა და კაპიტალის მფლობელად ითვლება, მოულოდნელად განაცხადა, რომ „ამერიკულ სპორტს თავისუფალი მეწარმეობის გზით განვითარების უფლება არა აქვსო".

ხომ არ შეცდნენ ტელემაყურებლები? განა შეიძლება ეს სიტყვები ეკუთვნოდეს ჰემფრის, ადამიანს, რომელიც ყოველთვის ამერიკული ცხოვრებისა და „თავისუფალი მეწარმეობის" პროპაგანდისტად ითვლებოდა? რამ აიძულა იგი გაეკეთებინა ასეთი განცხადება?

ყველაფერში დამნაშავე თურმე რუსები ყოფილან. ისინი, ვიცე-პრეზიდენტის აზრით, ძირს უთხრიან „ამერიკის ავტორიტეტსა და გავლენას", როდესაც ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდასა და ოლიმპიური ჩემპიონების მომზადებაში დიდძალ სახსრებს აბანდებენო. ჰემფრიმ ამერიკის მთავრობას კატეგორიულად მოთხოვა სპორტის განვითარებისთვის შესაბამისი სახსრების გამოყოფა: „ჩვენი ეროვნული ვალია ოლიმპიური ჩემპიონების აღზრდა. სახელმწიფომ ამ იდეას მხარი უნდა დაუჭიროს".

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის გამოსვლას ფართო კომენტარი გაუკეთა შვეციის გაზეთმა „იდროტსბლადეტმა". მისი აზრით, ამ ნაბიჯს შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ. „მაგრამ, — ასკვნის გაზეთი, — ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ამერიკის მთავრობის დახმარება არ იქნება ისეთი ყოვლისმომცველი, როგორც ეს სსრ კავშირშია. რუსეთში 45 მილიონი ორგანიზებული სპორტსმენია და სახელმწიფო ყოველ მათგანს უწევს დახმარებას. განა ამაზე ფიქრობენ აშშ-ში?"

### ფ. ბეკენბაუერი არჩევანის წინაშეა

ფრანც ბეკენბაუერი დღესდღეობით დასავლეთ გერმანიაში ყველაზე პოპულარული ფეხბურთელია. მისი სახელის გამოყენებას სარეკლამო მიზნებით ცდილობენ სხვადასხვა ჯურის საქმოსნები და ბნელი პირები. გფრ-ის საქმიან წრეებში უკმაყოფილება გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ იტალიის საფეხბურთო კლუბი „მილანი" დიდძალ თანხას აძლევს ბეკენბაუერს და რომ ფეხბურთელსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის გაცხოველებული ვაჭრობა მიდის.

გერმანელებმა ბეკენბაუერს ათასგვარი ხელსაყრელი კონტრაქტი შესთავაზეს. მაგრამ ყველაზე უფრო საქმიანია დასავლეთ გერმანიის კინომრეწველთა წინადადება. ამბობენ, რომ ბეკენბაუერი ერთხელ კვალიფიციურად გამოვიდა ტელეგადაცემაში და აი, საქმოსნებმა მას ორ ფილმში მონაწილეობის წინადადება მისცეს (ბეკენბაუერმა მთავარი როლი უნდა ითამაშოს).

პირველ ფილმში — „სერჟანტი ბერი" ფეხბურთელმა უნდა განასახიეროს სენტიმენტალური გმირის სახე, ხოლო მეორეში უნდა შეასრულოს „კეთილი ბოროტმოქმედის" როლი. ამ ფილმს პირობით უწოდებენ: „მიცვალებული ტაქსით მიემგზავრება".

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ რომელ კონტრაქტს მიიღებს ფეხბურთელი, მაგრამ ჟურნალისტებთან ინტერვიუში მან განაცხადა: „არ ვიცი გაემგზავრება თუ არა ტაქსით მიცვალებული, მაგრამ მე იმათ მხარეს ვიქნები, ვინც მეტ ფულს შემომთავაზებს".

### ფ. პატერსონი იწვევს კ. კლეის

ინგლისელ მოკრივესთან ჰენრი კუპერთან ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პროფესიონალ მოკრივეთა შორის, ამერიკელმა ზანგმა ფლოიდ პატერსონმა განაცხადა, რომ იგი მზად არის იბრძოლოს საპატიო ტიტულისთვის. ფლოიდის განცხადება საფუძველს მოკლებული არ არის. ამერიკელი მენაჯერები დღეს გულმოდგინედ ეძებენ კასიუს კლეის ღირსეულ მეტოქეს, მოკრივეს, რომლის სახელი დააინტერესებდა მაყურებელს და აქედან გამომდინარე, შეავსებდა სალაროს. როგორც ჩანს, არჩევანი ფლოიდ პატერსონზე შეჩერდა.

ყოველ შემთხვევაში, ამერიკული და საერთაშორისო პროფესიული კრივის ერთ-ერთმა წამყვანმა ფიგურამ, აშშ ის მენაჯერთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ბოლანმა ოფიციალურად აღნიშნა, რომ: „ფლოიდ პატერსონის და კასიუს კლეის მომავალი შეხვედრა სავსებით ლოგიკური იქნება მას შემდეგ, როცა პატერსონი დაამარცხებს გერმანელ მილდენბერგერს. პატერსონი უყვარს ხალხს. მის სანახავად კრივის მოყვარულები აუცილებლად მოვლენ. აღსანიშნავია, ისიც, რომ ამ განცხადების შემდეგ დაიდო კონტრაქტი პატერსონისა და მილდენბერგერის ბრძოლის შესახებ.



ტალღაზე...

ფოტოეტიუდი ა. ჩანტლაძისა.

ღრმა მსოფლიო, ჩვენი სპორტული საქმეები...

▲ ბუქარესტი. „რესპუბლიკის" სტადიონზე გაიმართა იტალიისა და რუმინეთის მძლეოსანთა მატჩი. ვაჟებში, მართალია სტუმრებმა გაიმარჯვეს — 108:103, მაგრამ 20-დან 11 პირველი ადგილი რუმინელებმა მოიგეს. ქალთა ასპარეზობაში თავი ისახელეს მასპინძლებმა — 66:51. ტურნირში ი. ნადმა ორჯერ გააუმჯობესა რუმინეთის რეკორდი. მისი ბადრო ჯერ 56,58 მეტრზე დაეცა (ძველი რეკორდი იყო 55,88), მერე 57 მეტრზე. უროს ტყორცნაში რეკორდს დაეუფლა გ. კოსტაუე (რუმინეთი) — 66,04 მ

▲ პლზენი. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც აქ ჩატარდა, კარგი შედეგები მოიპოვეს: 5000 მეტრზე რბენაში — მ. გამუდიმ (ტუნისი) — 13.51,4, 3000 მეტრზე — ევროპის რეკორდსმენმა ზ. ჰერმანმა (გდრ) — 8.14,4 და 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში — მსოფლიოს რეკორდსმენმა გ. რულანტსმა (ბელგია) — 8.33,8.

▲ ბელგრადი. სარაევოში, გამართულ ბალკანიადაში მონაწილეობაზე უარისთვის, დისკვალიფიკაცია მისცეს ცნობილ მძლეოსანს ბირთვის კვრაში, იუგოსლავიის რეკორდსმენს ჯ. კოვაჩს, რომელიც შემდეგ „პარტიზანმა" გუნდიდანაც გარიცხა.

▲ ალჟირი. გამოვიდა ალჟირელთა ყოველკვირეული სპორტული ორგანოს „სპორტ აქტუალიტეს" პირველი ნომერი, რომელიც 30 გვერდს შეიცავს.

▲ როსტოკი. სსრ კავშირისა და გდრ-ის წყალში მხტომელთა მატჩი მოიგეს სსრ კავშირის ათლეტებმა — 45:43. ვაჟებში პირველი იყო მატეოსი (გდრ), ქალებში — ფედოსოვა (სსრ კავშირი). სტუმრების გუნდში არ იყვნენ ბაკლანოვა და საფონოვი, ვინაიდან მეხიკოს წინაოლიმპიურ კვირეულში მონაწილეობისთვის ემზადებოდნენ.

▲ მეხიკო. აქ 4 დღეს გრძელდებოდა თათბირი იმაზე, თუ როგორ მოეწყოს 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ტელეგადაცემები. საბოლოოდ გადაწყდა: ტელეობიექტივები ასპარეზობისკენ ყოველდღიურად 10 საათს იქნება მიმართული და ბრძოლათა პერიპეტიებს მთელ მსოფლიოს ამცნობს.

▲ ვარნა. ბულგარეთის III საერთაშორისო ტურნირზე ცურვაში მასპინძლებმა 6 ახალი ეროვნული რეკორდი დაამყარეს: ი. რუსევმა — 100 და 200 მეტრზე ზურგზე ცურვაში (1.05.3 და 2.22,1 შესაბამისად) და 200 მეტრზე ბატერფლაით — 2.23,1, ვ. კონევმა — 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით — 18.40,4, ბ. გიორგიევმა — 100 მეტრზე ბატერფლაით — 1.03,6 და გ. ნიკოლაევმა — 100 მეტრზე ბრასით — 1.14,4.

ჭადრაკი საათი!

◆ ობერჰაუზენი, 10 ოქტომბერი. მოჭადრაკე ქალთა ოლიმპიადის VII ტურში სსრ კავშირის გუნდმა „მშრალი" ანგარიშით — 2:0 დაამარცხა ჰოლანდიელები. მსოფლიოს ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა ვრეკენს სწრაფად მოუგო პაიკი და შემდეგ პარტიაც. სსრ კავშირის ჩემპიონმა ვ. კოზლოვსკაიამ მტკიცედ შეუტია ჰეემსკერკს და გაიმარჯვა.

VII ტურის შემდეგ ლიდერობენ რუმინელები (12 ქულა, 14 შესაძლებლიდან). სსრ კავშირის გუნდი II ადგილზეა (11,5 14-დან). III ადგილზე არიან იუგოსლავიელები (11 13-დან).

### 9 მატჩი

გასულ შაბათს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები, რომლებიც ასე დამთავრდა: „ენგური" (ზუგდიდი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 2:1, „დინამო" (სოხუმი) — „მეშახტე" (ტყიბული) 1:1, „ლორი" (კიროვაკანი) — „არაქსი" (ერევანი) 2:0, „სევანი" (ოქტემბერიანი) — „ლერნაგორცი" (კაფანი) 0:4, „მაშინოსტროიტელი" (პიატიგორსკი) — „უროჟაი" (კრიმსკი) 1:1, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) 0:0, „დინამო" (მახაჩყალა) — „ურალანი" (ელისტა) 3:0, „უროჟაი" (დერბენტი) — „უროჟაი" (მაიკოპი) 0:0, „დილა" (გორი) — „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) 0:0.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

# წინააღმდეგი უფრო მეტია

ახლა ევროპის ველოსიპედისტთა ყურადღების ცენტრშია „ტურ დე ფრანსის" (საფრანგეთის მრავალდღიანი ველორბოლა) ორგანიზატორთა წინადადება ამიერიდან ეს შეჯიბრება ერთად ჩაატარონ პროფესიონალებისა და მოყვარულებისთვის. ამგვარი გადაწყვეტილება იმითაა გამოწვეული, რომ პროფესიონალური ველოსპორტი თანდათან ჰკარგავს ავტორიტეტს და იგი მდგომარეობის გამოსწორებისთვის სისხლის გადასხმას საჭიროებს. ამის საუკეთესო საშუალებად კი „ტურ დე ფრანსის" მესვეურებს ზემოთ აღნიშნული რეფორმის გატარება მიაჩნიათ.

მაგრამ ერთია ფრანგ საქმოსანთა სურვილი და მეორე — მისი საფუძვლიანობა, ის, თუ საზოგადოების რა მხარდაჭერას მიიღებს იგი, როგორია ასპარეზობაში მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა აზრი.

ამ მიზნით, იტალიურმა სპორტულმა ორგანომ „ლე სპორტ ილუსტრატომ" მოაწყო საერთაშორისო ანკეტა — გამოკითხვის მონაწილეთ დაურიგდათ ბარათები „ტურ დე ფრანსის" ორგანიზატორთა წინადადებით და დაავალა მოკლედ ეპასუხათ: „ჰო" ან „არა" (ე. ი. მომხრენი იყვნენ თუ არა ამ შეჯიბრებაში სტარტი ერთად მიცემოდა პროფესიონალებსა და მოყვარულებს), მაგრამ ბევრი მოკლე პასუხით არ დაკმაყოფილდა.

აი, პასუხებიც:

ჟერარდენი (საფრანგეთი) — ახალი ფორმულა თითქოს კარგია, მაგრამ მოყვარულებს უყენებს მეტად ძნელ მოთხოვნებს, რომელთა პრაქტიკული გადაწყვეტა შეუძლებელია.

დემერსი (ბელგია) — მომწონს „ტურ დე ფრანსის" ახალი ფორმულა. მაგრამ მაინც უმჯობესია ასპარეზობის ცალცალკე გამართვა, ვინაიდან პროფესიონალთა შეჯიბრებისგან მოყვარულთა ასპარეზობა კეთილსინდისიერი ბრძოლებით გამოირჩევა.

ბაიერკოლმი (დანია) — დანიის ველოსპორტის ფედერაციას ეს წინადადება მიუღებლად მიაჩნია. ჩვენ აბსოლუტურად ვეწინააღმდეგებით „ტურ დე ფრანსში" პროფესიონალებისა და მოყვარულთა ერთობლივ სტარტს, ვინაიდან მოყვარულების პროფესიონალებთან ერთ შეჯიბრებაში მონაწილეობა მათ მიერ სამოყვარულო სტატუსის დარღვევა იქნება. ეს კი საერთაშორისო წესების თანახმად შემდგომში მოყვარულთა ასპარეზობებში მათ მონაწილეობის უფლებას ართმევს.

დეკსენი (ჰოლანდია) — პროფესიონალიზმი ჩვენთვის ახალი ხილი როდია, მაგრამ მაინც წინადადების წინააღმდეგნი ვართ, ვინაიდან პროფესიონალები უკვე ჩამოყალიბებული, ასე ვთქვათ, ძვალგამაგრებული სპორტსმენები არიან, მოყვარულები კი 18 წლის, ჯერ კიდევ ჭყინტი „ბავშვები". ე. ი. ჭაბუკების გამოცდილ „ბებრებთან" შეჯიბრება შეუძლებლად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, ჩვენი პოზიცია ნათელია.

პლატნერი (შვეიცარია) — „ჰო", ვინაიდან ეს ჩვენში ველოსპორტის შემდგომი განვითარების საშუალებას იძლევა.

კუპრიანოვი (სსრ კავშირი) — პროფესიონალიზმი და სამოყვარულო სპორტი შეუთავსებელნი არიან. სსრ კავშირი წინააღმდეგია „ტურ დე ფრანსში" სტარტი ერთად მიეცეთ პროფესიონალებსა და მოყვარულებს, პროფესიონალები ხომ იმიტომ არიან პროფესიონალები, რომ ამით ცხოვრობენ, მოყვარულები კი ველოსპორტით როდი ცხოვრობენ.

საურა (ესპანეთი) — არა!

სტრუმოლო (იტალია, ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის თავმჯდომარის მოადგილე) — ეს ხომ უაზრობაა. პროფესიონალური სპორტის მესვეურებს ველოსპორტის განვითარებაზე ზრუნვა კი არ აწუხებთ, არამედ ისინი მოყვარულებში ეძებენ ახალ სახელებს, რომლებსაც შემდეგ რეკლამისთვის გამოიყენებენ. ვფიქრობ, ჩემს აზრს გაიზიარებს ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის თავმჯდომარე ა. როდონიც.

როგორც ვხედავთ, „ტურ დე ფრანსის" მესვეურების სურვილს — ახალი ფორმულით გამართონ შეჯიბრება, განხორციელება არ უწერია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3.95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო—3-95-11, გამომშვები — 3-93-81.